საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 591/02-06
28/05/2019

591-02-06-4-201905281607

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ემზარ ხმალაძის ესპანეთის სამეფოში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' „ო" და ,,პ" ქვეპუნქტების, „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის N12/04 ერთობლივი ბრძანების, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, ნინო ფარცვანიას 2019 წლის 23 და 24 მაისის N9504/10; N 9627/10; განცხადებების (თან ახლავს ემზარ ხმალაძის განცხადება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 14 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით ესპანეთის სამეფოში, ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტში ალგებრის სემინარზე მოხსენების - "გასაღების გაცვლის პროტოკოლი ჯგუფების ჯვარედინი მოდულების გამოყენებით" წასაკითხად და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შესასრულებლად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ემზარ ხმალაძე.
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს გასცეს 2600 ლარი, უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი N 1).
3. დაევალოს ემზარ ხმალაძეს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის

მართვის დეპარტამენტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური).

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დანართი N1

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ემზარ ხმალაძის ესპანეთის სამეფოში
მივლინების ხარჯთაღრიცხვა:

1. მგზავრობის ხარჯი: (გადახდის საბუთი): 1365 ლარი

2. სადღეღამისო ხარჯი: (ნაწილობრივ)

9 დღე X 44.12ევრო X 3.1102 ლარი=1235 ლარი

სულ: 2600 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: ი. სალარეიშვილი